

მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ქონების მართვის, აგრაარულ და ბუნებრივი რესურსების
საკითხების კომისიის 2016 წლის 24 აგვისტოს სხდომის

ოქმი №16

ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ. №7

12.00 სთ.

სხდომის თავმჯდომარე – თამაზ მოძღვრიშვილი - კომისიის თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ წევრები - დავით ვალიშვილი, თემირ ლელუაშვილი, დავით პაპიაშვილი, გოჩა ლაბაური, დავით ჯალაბაძე.

დღის წესრიგი:

საკითხი 1 - „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

კითხი 2 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

საკითხი 3 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება – სოფ. წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006,00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის #1 (ს/კ 72.08.21.846) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.“

მოისმინეს საკითხი 1: „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №6923 17.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანას. ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს 1.36 პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.36 მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. ქსანში მდებარე 200 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.10.05.159“.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტების, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტებისა თანახმად, „მცხეთის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ქონების 2015 წლის საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 21 აპრილის #49 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს საკითხი 2: „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №6921 17.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ. ზემოაღნიშნულ განკარგულებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, განკარგულების პირველ პუნქტს დაემატოს შემდეგი ქვეპუნქტები:

„1.20. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 400 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.28.582“. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 6005 (ექვსი ათას ხუთი) ლარით.

„1.21. მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფ. წეროვანში მდებარე 40 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკადასტრო კოდით 72.08.27.525“. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 605 (ექვსას ხუთი) ლარით.

1.22. მცხეთის მუნიციპალიტეტის ავტომობილი MERCEDES-BENZ, სპეციალიზებული, სახელმწიფო სარეგისტრაციო ნომერია JJ 140 II. საწყისი საპრივატიზაციო საფასური განისაზღვროს 6250 (ექვსი ათას ორას ორმოცდაათი) ლარით.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის I პუნქტის „ე.დ“ ქვეპუნქტის და 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ი“ ქვეპუნქტის თანახმად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების გეგმის დამტკიცების შესახებ.“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 16 თებერვლის #18 განკარგულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მოისმინეს საკითხი 3 - „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონება _ სოფ. წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006,00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის #1 (ს/კ 72.08.21.846) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის შესახებ.“

მომხ. თ. მოძღვრიშვილი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობიდან შემოსულია №7134 28.08.2016წ. წერილი, რომლითაც ითხოვენ, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების სოფ. წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006,00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის #1 (ს/კ 72.08.21.846) სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემას, შემდგომში შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის სარეგებლობაში გადაცემის მიზნით.

კომისიამ გადაწყვიტა: საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 108-ე მუხლის I პუნქტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის 24 აგვისტოს #7134 მომართვის თანახმად, „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრირებული უძრავი ქონების სოფ. წეროვანში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1006,00 კვ.მ მიწის ნაკვეთისა და მასზე მდებარე შენობა-ნაგებობის #1 (ს/კ 72.08.21.846) სახელმწიფოსათვის

უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის თაობაზე“ საკითხი განხილულ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

დღის წესრიგი ამოიწურა.

თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



თ. მოძღვრიშვილი

კომისიის წევრები



დ. ვალიშვილი



დ. პაპიაშვილი



გ. ლაბაური



თ. ლელუაშვილი



დ. ჯალაბაძე